


რედაქცია

გოლოვინის პრინციპი... ზეზრან ბაკონის სახელს უკლებს ქვემოთ.

სეფლი-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тиф. ш. т., в редакцію «Дრობა»

«დროების» ფასი მთლიან წლითა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან. ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.



გამოდის უოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განსაზღვრისა სკრიპონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება კარტონის რუსულს და სხვა ენებზედ. თუ საქიროება მოითხოვს, რედაქცია ვასწორებს და შეამოკლებს და აბეჭდვად გამოგზავნი წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს. რადგან ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკო

მიიღება ხელის-მოწერა გასეთ

„დროებაზედ“

ნასეკვარ წლით ზირველის ივლისიდან წლის დაძლევაძღე. ფასი ხუთი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ოთხი მანათი.

«დროების» ნომრები თითო მუხრად ივიღება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ადგლო თუთაყუთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

ახალი ამბები.

ჩვენი ყურებ ჩამოყრილი დაქსაქსული დრამატული დსი და ქართული თეატრის მოყვარენი უნდა გაეხაროთ: ლამის ძლიერ სუბსიდი დაენიშნოს და სული მოიღვას ჩვენმა თეატრმა.

«დროების» ქელტონი 15 ივლისი.

საზოგადოებრივი მიზნების

შემიღებდ ჩივილის გადავარდნა. კი მოსავალი. — გრილი ჭავა. — ხალხის განმრთობა. — ოთხ-ფენი საქონლის გაჭირება. — სალდათობის ხმა. — სინანული ჯანდირის გადასვლაზედ. — ქურობის მოსპობა მის დროს და ხელმეორედ გაგვრცელება. — რაფიელ ერისთავის «კალოები.» — ღირს-შესანიშნავი ამბავი.

მალაქის მცხოვრებლები და ნამეტნავად ერთი მათ წრეთაგანი, რომელსაც უწოდებენ ინტელიგენციას, თავისუფალ დროს სასეთნოთ, სალაყბოთ გამოდიან საზოგადო ბაღებში, პროსპექტზედ და «ბულვარზედ» (ასე ამბობენ პროვინციებში). ლაპარაკობენ (ქორების გარდა) ბალ-ვიჩერზედ, თეატრზედ, ჟურნალ-გაზეთებზედ, საზოგადოდ ლიტერატურაზედ, თანამედროვე დიპლომატიაზედ, ახალკანონ-დებულებზედ, ადმინისტრაციულ ცვლილებებზედ და სხვა ამ გვარს «მაღალს» საგნებზედ.

სოფლის ხალხი მოკლებულია პროსპექტებსაც და ბულვარებსაც. ამით ნაცვლად სოფელში არსებობს დუქნის დერეფანი, სადაც კვირა-უქმედდეს იკრიბებიან «სტარშინა» (ცხლა ასე შემოაუღიათ) «სუდიები», «პისერი», «ბორჩიკი» (сборщикъ пода-

ტი საქმე როგო ვახლავთ: თ. ღონდუკოვ-პორსაკოვს მოუწერია თბილისის ქალაქის გამგეობისთვის, რომ ქალაქის შემოსავლიდან თბილისის თეატრს ყოველ წლივ ეძლეოდეს ექვსასი თუმანი შემწეობა; თუ შეძლება არა ვაქეთო, უმატებს თ. ღონდუკოვ-პორსაკოვი, მაშინ შემძლიან მე თითონ აღმოუჩინო შემწეობაო. მა წინა დადება, როგორც «პაკაზი» გვატყობინებს, გუშინ წინ ქალაქის რჩევის სხდომაზედ გარჩეულა და ხმოსანთ ასე გადაუწყვეტიათ: ან ის ექვსასი თუმანი, რომელსაც თ. ღონდუკოვ-პორსაკოვი თეატრს ჰპირდება გაეყოს სამად რუსულს, ქართულს და სომხურს თეატრებს, ან არა და სთხოვონ თ. ღონდუკოვ-პორსაკოვს, რომ ამ თეატრებს ცალკე შემწეობა აღმოუჩინოს.

ჩვენი თეატრის გულის შემატკეართ თითი თითს არ დაადეს, რომ ამ სასარგებლო საქმისათვის რამე შემწეობა აღმოეჩინათ და ცხლა ლამის მზად შემწეობის მწყობრი პარში ჩაუცივდეთ.

შემახის მახრამაში, თურმე სამინელი გოლები დაუტერია, ასე რომ ბრინჯის ნათესები მთლად წამხდარან. ბაქოს რკინის გზის სტაციებში და მებუტკები ხომ ლამის

თენი) და დანარჩენი სოფლის საზოგადოება.

ლაპარაკის და ბაასის საგნებს ჰოლოლობენ თვისავე გარეშამო, ძნელად გადასცილდებიან სოფლის არე-მარეს. ამით ჯერ არ გაუგიათ ზულუსების დამარცხება ინგლისელებისაგან და სეტყვიის მათგან დატყვევება; არ შეუტყვიათ ბამბეტას სიკვდილი; არც არაბი-ფაშას აჯანყება; არც სუეცის ახალი არხის გაყენის პროექტი; არც ეგვიპტის ხოლერა, არც «დროების» ახალი რედაქცია. ჟოველი მათი აზრი და გონება მიმართულია მათთვის უფრო უსაჭიროეს საგნებზედ: მათ ყურადღებას იქცევენ სხვა გარემოებანი, მათ გულის წუხილს სხვა მიზეზნი ჰბადვენ — ისეთი მიზეზნი, რომელთაც ქალაქელები სიზმარშიაც ვერა ჰხედავენ, თორემ ცხადივ ხომ აბა სადა ჰნახვენ.

სოფლელების პირიდან ისმის მხოლოდ შემდეგი სიტყვები: მინდორი, ტყე, ვენახი, მოსავალი, პური, ღვინო, ხარი, კამეჩი, ბალახი, თივა, ბზე, გუთანი, ხენა, თესვა, მკა, ლეწვა, ფოსტის ფული, ბევრა და სხვა. მანა ესენი დასაძრახისნი არიან იმის გამო, რომ გარეშე საქმეებს არ ეხებიან? მე კა ვერ დაეძრახე ამით და ვიაც ჰსურდეს ნებას — ნებას ვაძლევ.

უწყლოდ დაიხლოვნენ, ამას წინედ ლამე მიმავალს მატარებელს ერთი მებუტკე ვადასდგომია წინ და გამწარებული თურმე უქნედა წითელ ბაი-რალს. მაშინისტს ეგონა, გზა არის სადმე ვაფუტკებულო და შეაყენა. აღმოჩნდა, რომ თურმე უბედური წყურვილითა კვდებოდა და წყლისთვის გააჩეხა. მაშინისტი და კონდუქტორი ძალიან გაურისხდნენ თურმე მაგისთანა უბრალო საქმისთვის როგორ ვაჰბედე დაყენებო, მაგრამ წყალი მაინც დააღვივინეს.

საკვირველია, რა აზრი ჰქონდათ, რომ ამ უდაბნოზედ გაიყვანეს ეს გზა?!

მოსკოვის პროფესორი მილეჩი, რომელზედაც რამდენჯერმე იყო მოხსენებული ჩვენს გაზეთში, ცხლა ჯავაში მოგზაურობს იქაური ოსურის შესასწავლად და ზემოურ ოსურთან შესადარებლად.

რამდენიმე შემთხვევა კიდევ იყო ქალაქში ავადმყოფობისა და ხალხი შემინებულა. ამ ორი დღის წინად ერთი მეჭურჭლე უცხრივ გამხდარა ავად: ვალურჯებულა და პირს სკქმება დაუწყება, მაგრამ მალე მიჰშველებია ექიმი მერმი-შოვი და სიკვდილს ვალურჩენია.

წინად რომ აქაურს სოფლებში დუქნების წინ ხალხი შეიკრიბებოდა, უპირველესად მიმზილზედ ჩამოაგდებდნენ ლაპარაკს: ყველა ჩიოდა პური არა მაქვსო, გასასყიდო არ არის, რომ ვიყიდო, შეილები მიტირიანო და სხე. მსლა კი სამაგიეროდ ამისა, უფრო საიმედო ხმები ისმის, უფრო სანუგეშო პირობები სჩანან. მართლაც, ამ უკანასკნელი ათი-თორმეტი წლის პირველი ნახევარი, ნამეტნავად 1870, 71, 72 წწ. შესანიშნავნი არიან მიმზილობით; მაშინ იყო რომ ზოგიერთი ქიზიყელი გლეხები სრულიად ვადასახლდნენ და გაიფანტნენ ლეკებში და საინგილოში, ბოლო ნახევარი კი ამ დროისა ბევრად განირჩევა პირველ ნახევრისაგან: სარჩო თან-და-თან უფრო საქმაოდ მოდის, ზოგჯერ კიდევ აღემატების შინაურს მოთხოვნილებას (მოგესწენებათ, რომ ქიზიყელები ნამეტანს არა სთესავენ: ყველა თითქმის სთესავს საკუთარს ჯალაბობის დასაკმაყოფილებელს). მანსაკუთრებით შარშან და წელს დიდი სულადი მოკრიბა ხალხმა; მომატებული ნაწილი ბედს ემადლიერება; ღვინის მოსავალსაც წელს კი თვალი უჩანს. თუ დაუმატებთ ამას ახლანდელს გრილს ჰავას და ხალხის ჯანმრთელობას, თქვენ უსათუოდ დარწმუნდებით, რომ ქი-

შეშინ ერთი მხატვარი ამისთანავე ნიშნებით გამხდარა ავად და ცოცხალ-მკვდარი შინ წაუღიათ. მართი კაკიც სოჭების ეკლესიასთან, სუტპარაპეტთან დაცემულა...

რასაკვირველი, შემინებული ხალხი ამისთანა უეცარ ავად-მყოფობას აწერს ხოლერას. ან კი რასაკვირველია, რომ თბილისში მეკიპტიდანაც არ მოვიდეს და თავისთავად გაჩნდეს ხოლერა? იარმუკის ტრაქტირები, ყასბები, ბაყლები და მხაშეები სწორედ რომ ხოლერის ბუდეა! ძაცს გული შეუწუხდება, იქ რომ გაიაროს, ისტა ამძოვრებული იქაობა და ყურს არაეინ უგდებს.

ბათუმშიდამ გვეწერენ: ამ მდგომარე ივლისის 8-ს ჩვენს ყოვლად მშვიდობიანს ქ. ბათუმში მოხდა ერთი არაჩვეულებრივი შემთხვევა. ზღვის ნაპირას ამწენებულს სიმაგრეზედ პარასკევს დლით იბოვეს გვამი რევოლვერით მოკლულის ახალგაზდა ვაჟის ბორის ბარჩაკოვისა, რომელიც ამ ბოლოს დროს მსახურებდა რუსეთის საზოგადოების აქაურს სააგენტოში. ბევრი ნაწილი აქაურებისა ამ შემთხვევას აწერენ თავის მკვლელობას, იმ საბუთით რომ ამ ვაჟს წინა დლით სალამოს დაეწერა მცირე წერილი თავის დედასთან, რომელშიაც სწერს:

ზიყელები ნეტარებაში შესულან. მაგრამ მოითმინეთ! ჯერ ნუ დარწმუნდებით ამით კეთილ-დღეობაში...

ქიზიყის სოფლები გამწკრივებულნი არიან ცაე-ზომბორის მთის ორ კალთაზედ. აღმოსავლეთის კალთის სოფლებს უწოდებენ «წინა-მხრად» და დასავლეთისას — «უკანა-მხრად». თითონ ცაე-ზომბორის მთის ქელი ქიზიყში შემოსილია ტყითა და უფრო მეტად ბუჩქნარითა. ეს ბუჩქნარი გადადის აქეთ-იქით კალთებზედაც. ამით დიდად სარგებლობდნენ უწინ ქიზიყელები, ნამეტნავად უსაქონლო, ღარიბი გლეხი, რომელსაც შეძლება არა ჰქონდა ალაზნის გაღმა მდებარე დიდი ტყილამ. ეზიდნა შემა-ფიჩხი და საშენობო მასალა.

ჯერ პირველად აღუკრძალეს, განურჩეველად მდიდარსაც, ღარიბსაც, გარდამეტებულად ფუჭება ტყისა, მეჩე ერთი კონა ფიჩხის მოჭრის ნებაც ჩამოერთვათ და ცხლა სახრეც არ შეგიძლიან მოსჭრა, თუ ჯიბეში სამი-ოთხი მანეთი დამზადებული არა გაქვს ტრაფისათვის. მღენები იძულებულნი არიან გაღმაურ ტყიდგან ზიღონ შემა-ფიჩხი — ტყიდგან, რომელიც კი მანძილზედ არის დაშორებული. ძადვე არაფერი, თუ გყავს საქონელი, გაქვს ურემი, შეგიძლიან

«მაპატიე დედა-ჩემო! ხვალ ცოცხალს ვეღარა მნახავთ.» ეს წერილი მიეცა თავის ამხანაგისათვის გადასაცემად დედისთვის. შემდეგ, წასულა თავის უფროს ძმასთან, სადაც აუღია რევოლვერი და წასულა თავის დანიშნულს ადგილს. მიხვს თავის მკვლევლობისას შეადგენს ის რომ ბ. ბარჩაკოვს სდომებია შერთვა ერთის თავის არჩეულის ქალისა, რომელიც დედას აღუკრძალავს. ამ გვარი აღკრძალვა ამ ვაჟს არ მოსწონებია და გაჯავრებულმა მხოლოდ თავისი თავი რევოლვერის ტყვიით დაიგვირგინა. მიცვალბული გუშინ დაასფლავეს, რომელზედაც დაესწრნენ მრავალი წარჩინებულნი ბათუმის საზოგადოებისა, სამხედრო მუსიკით.

ბ-ნს მოხსუბარიძის.

შეით წაიკითხავთ ბ. შახიბეგის წერილს, რომელიც სცენაზედ ცნობილია მოხვედ და ლიტერატურაში მოხსუბარიძედ. მტყობა, მოხსუბარიძეს ძალიან მოსდებია ის პატარა შენიშვნა რედაქციისა, რომელიც იმას—კიდევ ვიტყვი—უზრდელობას ამოწმებდა. შორს რად მისდინართ?—წაიკითხეთ დღეს დაბეჭდილი წერილი და დაპრწმუნდებით ბ. მოხსუბარიძეს როგორ ესმის ლიტერატურული ზნეობა და ზრდილობა. «მოჰყოლინართ ლანძღვას და რას არ მკადრებთო!»... ბეისაყვედურებს «ელგუჯას» ავტორი. მერე ვისა ჰკადრებს თავ-მოწონებული მოხვედ ამისთანა უზრდელ სიტყვებს, როგორც «მოჰყოლინართ ლანძღვას»?—პრა კერძო პირს, თავის

ვის მეტოქეს;—ის უძღვის მთელს რედაქციას, რომლის წევრადც თითონ ითვლება. ის თითონ ფაქტს უარს არა ჰყოფს და რაღაც ყმაწვილური გულწრფელობით აღიარებს: «თუ გავლანძღე ვინმე, ალბად საბუთი მქონდა და გავლანძღეო»: საქმე იმაში კი არ გახლავთ, ბ. მოხსუბარიძე, საბუთი გქონდათ, თუ არა; საქმე იმაშია: ვინ გაჰლანძღეთ, როდის და სად. თქვენ გაჰლანძღეთ «დროების» კორესპონდენტი, რომელსაც ასე, თუ ისე, მაგრამ მაინც უსასყიდლოდ შემოაქვს თავისი ფთილა. იმას თქვენ პირ-და-პირ ჭორების მკრეველი დაუძახეთ და ამით ჩვენს გაზეთსაც სახალხოდ შეურაცხყოფა მიაყენეთ. თქვენ ის გაჰლანძღეთ თეატრის ხალხით სავსე დარბაზში სცენიდან და მით შეურაცხეთა მიაყენეთ იმ მელომენის ტაძარსაც, რომლის ნაკურთხ ქურუმთაც თქვენს თავსა სთვლით. მაშასადამე, თქვენ მსახურებით ლიტერატურასაც, თეატრსაც, მაგრამ როდესაც ხურუში მოგივლით, ან ცუდ გუნებაზედ ბრძანდებით, ორივეს ერთნაირად ჰსერით ტალახში და წიხლითაც ჰქედავთ. რა სახელი ეკადრება ამისთანა ქცევას? აგერ უფრო მეტაკაც საბუთია იმისი, თუ რა პატივსა სცემს ბეჭდით მოძღვრებას, ლიტერატურას ეს ჩვენი პატივცემული ლიტერატორი! «მზობრს», «ძაგვას», «დროების», «შრომას», «ივერიას» და კიდევ სხვებსაც ჰქონიათ, ბრძანებს ბ. მოხსუბარიძე, ჩემს მოღვაწეობაზედ ლაპარაკი, მაგრამ მე სპარსული ანდაზით მიხელმძღვანელობა, რომელიც ამბობს, რომ ძალის ყვეს ყური

არ უნდა უგდოვო, და მეც ხმა არ ამომილიაო!.. ზესიამოვნება რომ ისეთი შესანიშნავია თქვენი მოღვაწეობა და ამ მთელ ყურან-გაზეთებს ალაპარაკებს, მაგრამ თანაც დიდად ვსწუხვართ, რომ თქვენს მოქმედებაში ხელმძღვანელობთ სპარსული და ოსმალური ანდაზებით, და არა ჭრანცუხული და ინგლისური. თუ «დროების» ან «ივერიის» ლაპარაკი თქვენს დიდ მოღვაწეობაზედ ძალის ყვეად მიგაჩნიათ, ბ. ლიტერატორო, მაშ ვიდას შეუძლიან ნამდვილი მსჯელობა თქვენს ნიჭზედ? მართლა, კინაღამ დაგვეწყდა, რომ ლესინგებად და ბელინსკებად მარტო თბილისელი ლაქები და სემინარისტები მიგაჩნიათ!..

ბ. მოხსუბარიძე, ვითომ, ულოლიკობასაც სწამებს რედაქციას! «შათქვათ, მე «დროების» კორესპონდენტი გავლანძღეო, გვასწავლის ჭკუას «სიკოსი», «წიწიკასი» და ჯერ გაუთ ვებელი «საკიას» ავტორი, აქ ლიტერატურული ნათლ-მამობა რა შუაშია? «სწორედ რომ შიგ შუაში გახლავთ ჩაჭვდილი, რომელსაც ვემათში აგისნით. თქვენ, საბუთდუროდ, მარტო ლიტერატორი არახართ,—არტიტიკა ჰბრ-ანდებით და საზოგადო სენი არტიტიკებისა ერთობ ტანში გაგჯდომიათ. ეს სენიც იმაში მდგომარეობს, რომ რამდენიც უფრო უხვიროა აქტიორი, იბდენი უფრო დიდი წარმოდგენა აქვს თავის ნიჭზედ. თქვენ ბათუმში სიმონ ლეონის როლისთვის მოგველოთ ხელი და, როგორც წინააღვე უნდა გცოდნოდათ, მთლად ჩაგველაგებინათ. როდესაც შეგეტყვოთ, რომ თქვენს

არა არტიტიკულ თამაშობაზედ «დროებაში» მშაღებოდან ჩვენსა—ჯერ ტელეგრაფმა მოგვეწავთ, რომ უნდა, ჩვენდა საოცრად, შემდეგი ეწერა: «если вы про меня напечатаете, что М—швили пришлет, то меня глубоко оскорбит», და მე-რე სცენიდანაც გაჰლანძღეთ ის. მაშ რა უვლება გქონდათ, რომ ამისთანა ტელეგრაფსა სწერდით რედაქციას, თუ ლიტერატურული ნათლი-მამობით დაიმედებულნი არა ჰბრძანდებოდით? ბოლოს ბ. მოხსუბარიძე შემდეგ კითხვებს აძლევს რედაქციას: «მე მინდა გავგო ჩემი დამოკიდებულება რედაქციასთან და შევიტყუო შემდეგში რას უნდა მოველოდე და როგორ უნდა მოვიქცე?»

სრულებით უადგილო გახლავთ ამისთანა კითხვები. რედაქციას უფლება არა აქვს და არც თითონ თქვენ იკადრებთ, რომ ინსტრუქცია დაგიწეროთ ბათუმში და შოთში როგორ უნდა მოიქცეთ. რედაქცია გიცნობთ, როგორც მოთხრობეების ნიჭიერ მწერალს და ყოველს თქვენ ნაშრომს დიდი სიამოვნებით და მადლობით დაჰბეჭდავს, მაგრამ თუ, რაც ბათუმში ჩაიდინეთ, იმის მსგავსს, ან უაზრეს რასმე ჩაიდენთ, რედაქცია ისე მოგვეპყრობათ, როგორც ყველას. ამას მოითხოვს წმინდა მოვალეობა ყველა პატიოსანი სალიტერატურო ორგანოსი. რაც შეეხება თქვენ უკანასკნელს, ვითომ, ოხუწჯობას, ვკსულ გრძელად გვიპატივებია თქვენთვის...

ბ. რედაქტორო! «დროების» 127-დე №-ში დაბეჭდილია რედაქციის გამო-

შება და მითი გამოიტანო; მაგრამ ვაი იმას, ვისაც არც ურემი აქვს, არც ხარ-კამეჩი ჰყავს და ვირის ანაბარას არის მიტოვებული! ამან დიდიოთ უნდა აიწიოს ლოგინიდან, შეკმაზოს ვირი, გაუდგეს გზას და ბოლოს სალამოთი, ხშირ ბინდში, ერთი ვირის საპალნე შეშა მოიტანოს დამეუღლ სახლობაში. წარმოდგენეთ! მოიქანცა ეს კაცი, მოსცდა მთელი დღე,—ისეთი დღე, რომელიც ზოგჯერ ერთი მანეთი უზის, რადგანაც შეეძლო წასულაყო სამუშაოდ და ერთი მანეთი შრომის ფასი აეღო და ბოლოს ერთი აბაზის შეშა ანუ ფიჩხი მოიტანოს და იმასთან ორი შაური ბილეთის ფასი უნდა გადაიხადოს!

ძარგი იქმნებოდა, რომ ამითა თავდებოდეს აქაური გლეხების შევიწროვებული მდგომარეობა, მაგრამ გაჭირება უფრო სხვაშია: არ შეგიძლიან, თუ ორიოდ სული ოთხ-ფეხი საქონელი გყავს, ერთი დღით ანუ ღამით სოფელში ანუ მის ახლომანლო შეინახო! აი საქმე რაში მდგომარეობს. მოგვხსენებთ, რომ ეხლა სოფელი ხალხი მკაში არის გართული. მომიკლს ჰზიდავენ თვით სოფლებში, რადგანაც კალოები აქა აქვს დამართული; ეზიდებიან, რასაკვირველია, ურმებით; ურმებში ურმის საქონელი აბია, რომელსაც უნ-

და ჰამა, რადგანაც იმასაც თურმე კუჭი ჰქონია. შეელო სოფლებში მიღებულია (ძნელიც არის, რომ მიღებული არ იყოს), რომ ურმის საქონელს საძოვრად სოფელში ან სოფლის გარეთ თავისუფლად გაუშვებენ, მაგრამ ჩვენ სოფლებს კი ეს თავისუფლება ძირიანად აქვს მოსპობილი. ძნის ზიდა ჩვენში ეხლა გახშირებულია, მაშასადამე საქონელიც სოფელში ბლომათა ტრიალებს; ამ საქონლის პატრონებს წინ გადასდგომიან ჯოხებით და ხანჯლებით ტყის დარაჯები და ეუბნებიან: ჰა, არამცა და არამც კამეჩი შინიდან გარეთ არ გამოუშვა: ბუჩქნარში შადის და ფოთოლსა სჭამს, თორემ განაიებო. მშლა თქვენ შიპასუხეთ, მკითხველო, რა ქმნას ურმის მექონმა გლეხმა, როდესაც ამ სოფლებს ამ ბუჩქნარების მეტი დაახლოვებით სხვა საძოვარი ადგილები არ ახადიათ?

სოფლის ბოლოს გალაღეო, გეუბნება იგივე ტყის დარაჯი! ძარგი და პატიოსანი, მაგრამ რომ ეს ყოველად შეუძლებელია. ღღეს მე, ვსთქვათ, სოფელში მოვიტანე ურემი ძნითა, დაესკლი, დაცლის დროს გამოშვებული არის საქონელი, რომელსაც ამ დროს ძოვნა ესაჭიროება და დღესვე ვაპირებ უკან დაბრუნებას ძნაზედ. მე რომ ავიღო სახრე და

საქონელი სოფლის ბოლოსაკენ მიწდორში გავლალო, რომელიც კარგად შარებით იმყოფება, როდისღა წავიღო ურემი? მსე ხომ მთელი ერთი დღე გალაღეა-მოლაღეას მოუწდები, კდეც მოვსცდები, საქონელიც ისევ მშიერი დამიჩნება და დაღალულს დაღალვა მოემატება! მაგრამ ამდონ ძიებაში რომ შედიოდენ ჩვენი დარაჯები ანუ ცოტა რამ ნიჭი ჰქონდესთ ძიებისა, მაშინ დარაჯებათაც აღარ დაგვიდგებოდენ და მედიდურობასაც დაიწყებდენ.

პრ იქმნა, ვერ დამშვიდდა ქიხიყელების დაუდგრომელი გული! აქაც მოვიდა სალდათობის ხმა და ამ ხმამ ერთობ ბეჯითად აქოთქოთა გლეხები. ნუ კი გვერნებთ, რომ ამით ან თოფისა ან ოსმალ-ლეკებისა ეშინოდეთ! პრა, მათ პირ-და-პირ ბრძოლაში ქიხიყელები ისე მხიარულად და თამამად გასწვენ, როგორც ქორწილში... ჯერ არ გაუგიათ, რომ საქართველოში მოკრეფილ ჯარს ისევ ჩოხები ეცმებათ და ქულები ეხურებათ.

დიდად პატივსაცემი უნდა იყოს ის პირი, რომელიც საზოგადოებას უცენია ფრიად სასარგებლო კაცად და რომელსაც მისგან დაუმსახურებია

ყოველის მხრივ კეთილი აზრი. მე მოგახსენებთ ადრინდელს მაზრის უფროსის თანაშემწეზედ, ლევან ჯანდიერზედ, რომელიც ეხლსან მაზრის უფროსად აქედამ თანეთში გადიცანეს. იშვიათად მინახავს, რომ ესე პირადებით ხალხი თავის უფროსს როდისმე ემადლიერებოდენ, როგორადაც ამ ჟამად ქიხიყელები თ. ლ. ჯანდიერს ემადლიერებია. მან ამ მხარეში დაჰყო ძლიერ ცოტა ხანს, მაგრამ ამ ცოტა ხნის განმავლობაში ბლომა და იმასთან საგრძნობელი სარგებლობაც მოუტანა აქაურებს. სხვათა შორის ერთი თვალ-საჩინო მისი ნამოქმედარი გახლავს ქორდობის მოსპობა, რომელმაც ერთობ განხვედ გაიდა ფესვები მის მოსვლამდინ და ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა. ისე გავრცელებული იყო ქურდობა მის მოსვლამდის, რომ აღარ გავგოთ ქურდებს არც დღე, არც ღამე, არც სოფელი, არც მინდორი—ყოველთვის და ყველგან უშიშრად იტაცებდენ ოთხ-ფეხ საქონელსა და ამტყრედენ სახლებსა. პრ შეეძლო, რომ ზაფხულში ღამით თავისუფლად დაგება ეზოში ცხენი, თუ არ თავლაში ან მკვიდრად შემოხლულულ ბაკში. მოვიდა თუ არა თ. ლ. ჯანდიერი, მაშინათვე მიაქცია ამ გარემოებას ჯეროვანი ყურად-



სარჩელა ბათუმელის ერთი კორესპონდენტი...
და თან აწვევით ამბობს: «მხსენებელი...»

«ამ სიტყვებს არ დავიჯერებდით»,
ბრძანებთ თქვენს გამოსახულებაში, თუ
სარწმუნო პირებს არ დავიჯერებდით...

ყველა, ყველა, ბ. რედაქტორო, მაგრამ
«ლიტერატურული ნათელი-მამობა»
აქ რა უნდაა?.. ვთქვით მე გამოვლანძ...

თუ გავლანძვე ვინმე, ალბათ საბუთი
მქონია, თორემ ლიტერატურაში ათას-
ჯერ გაუგებრებო ჩემი სტენსედა თამაში...

მას რაღა უმნიშვნელო, ყოველ სხე-
ლს მოკლებული (ამას დავამტკიცებ)
კორესპონდენტი, რომელსაც თუთრი...

გაზ. «ახორას», «გაგასს», «დროე-
სბა», «შრომას», «იკურას», ყველას

შეხვედრის ჩემს მოღვაწეობას...
რავი, ბევრჯერ იქნება უსამართლოდ,
მაგრამ ვასუსის გება არ მიკადრის...

მართლაც, უნდა არ გიტყვი, მე გავ-
ლანძვე საზოგადოთ ისეთი კორესპონ-
დენტი ვინც «ახორასს» გამოგ-
კადებინ, ვერაინ ხალხის სარგებლობა...

ღება და რამდენიმე თვის განმავ-
ლობაში კიდევ ბოლო მოულო სენ-
სა. სოფლებში თანესუფლად ამოი-
სუნთქეს და თავის სინარულს ყოველ-
თვის აღვიარებდნენ. წავიდა თ. ლ.

მოსავალი კარგი მოდის, მაგრამ
ამ მოსავალს, საუბედუროდ, თან «კა-
ლიაც» მოსდევს, — ის კალია, რომე-

ძალია ორ-გვარი ვახლავს: ერთი
ფრთიანი, მეორე უფრთო. უფრთო
კალიას მახვილი კუტ-კალიას ეძახიან

იმით რომ ფრთები არა აქვს, არა-
მედ მითაც, რომ მუცლები ერთობ
დიდები აქვს. აქაურს მოსაველსაც
აბა ამ გვარი კალია მოსდევს. მან-

ამ ალერსიანი სიტყვების შემწეო-
ბით ამ «ნათლი-მამას» შემწეოდ
ჩამოართმევნ ნახევარ ფასად. ზამთ-
რის სულადსა და მან კმაყოფილი,

წარმოსთქვა: «ს. მესია ქრთის იღებდა
და იმითვე სტატეებს აღარ უკვდა-
და!» ამ სიტყვებისთვის და ან ჩემი

მე გავლანძვე ისეთი ადვოკატები,
რომლებსაც რედაქციები ენდობან, ვბე-
დენ იმით ნაჯვალს და ისინი-გი პირა-

მე გავლანძვე ისეთი კორესპონდენ-
ტები, რომლებიც აწერებან:

«ესა და ეს დამნაშავე გამართლეს
და საზოგადოებამ თანაგრძნობის ნიშ-
ნად სადილი გაუმართათ» და საქმით-გი

უკეთეს? მს. «ნათლი-მამა» ძლიერ
გულ-კეთილი ვახლავს, ამ სულადს
«ძალად-ნათლია» თვითონვე სა-
კუთარს სახლში მათნახავს და რო-

მზივარ ერთს მშვენიერს საღამოს
კალას პირას და გარშემო გლეხები
მისედან. შემომავსა პატარა გლეხის

«ნეტავ, გოგო, შენ ხმა
ავად-მყოფს, გამაგანო,
ტუჩი-ტუჩს დამაძებან,

როდესაც ჩემი გაოცება განუზი-
რე ჩემს თანამობასეთ, პასუხად მი-
ვიღე: «ეგ ბიჭი კი ცხლა მიწაში უნ-

რელა კორესპონდენტი...
საც იმითვე გაწვევით...
განა კორესპონდენტი...
ყოფილას სახე?.. განა ამისთანა კორეს-

ვიმეორე მე საზოგადოთ ესთქია ჩე-
მი სიტყვები, არ მიმითითებან რომელ-
სამე პირზე და თუ თქვენს კორეს-

მე რომ თქვენს ადგილს ვყოფილი-
ყავ სხვის გალანძვის მაკერ მივძარ-
თავდი თითონ გულ ნატეხს კორესპონ-

მავამ გავათავად ნაწვენს კორესპონ-
დენტზე და თქვენს ასრე წოდებულს:
«სარწმუნო პირებსედა ღვაწლავი გაწმუ-

თქვენ ანობთ, რომ «გერავინ და
გერავინა პირზედ ხელნახარს ვერ აბ-
კავებურს და მავს-მავს დაუძახებთ...

ლი გარდაიცვალა, რადგანაც აღარც
ინძროდა, აღარც სუნთქავდა. იმავე
დღესვე დასდგომიან ესენი მღვდელს
ზაქარია სინჯიაშვილს, გინდა თუ

მათენდება მესამე დღე. წავა მღვდე-
ლი თავის კუთვნილებით მიცვალე-
ბულზედ. შემოსება, დაადგება კუ-
ბოს თავს და საცეცხლურს ორიოდ

ალ. მირიანაშვილი.
ს. ანგა, 12-ს ივლისს.

რი ვაკარო ლიტერატურის წმინდა მი-
ზანს.

კადეო ორიდე სიტყვა და ჩვენს საუ-
ბარც გათავაზება.

მეამ სიტყვებს იმისთვის-ვი არა გწერთ,
რომ ვისთანმე თავის მართლებას მინდო-
დეს, არა ბატონო მე იქამდინ ვატივის
ვცემ ჩემს თავს, რომ ყველა ღამ მოსკულის
ცილის წამებისთვის ღამაგას არ და-
ვიწყებ, რადგანაც თქვენ ან უნდა მინობ-
დეთ მე დამინდობადეთ, ან მიცნობდეთ
უიმედოთ და შორს ვადგეთ ერთმანეთ-
სგად.

მე მინდა, მსურს გაეგო ჩემი და-
მოკიდებულება რეაქციისთან, გამოკირგ-
ვიო და გვიგო შედეგში მისგან რას
უნდა მოველოდე, ან როგორ უნდა მო-
ვიქცე?

მე ვითხოვ ან სრულს რწმუნებას და
ნდობას, ან აშკარად გამოცხადებას რომ
ჩვენს შორის საერთო არა იქნება-არა და
ყველა გამკლავის ცილის წამება რეაქ-
ციისგან ბეჭედ დაგროვებს სიმტკიცეთ
ჩაითვლება.

მასინ ყოველის ფერი გამაშვარაგე-
ბული იქნება და ორთავ გვეცოდინება
რას თვალთ უყურებთ ერთმანეთს.*)

ა. მონხუბარიძე.

P. S. დამავიწყდა, ბოდიშს ვისდი,
თქვენს შენიშვნაში სწერია: «მოსკუ ნი-
ჭიერი მწერადის მოთხრობებისა... ბე-
რის შრომა გაუწყია «დროებაში», გმად-
ლობთ ქებისთვის! მაგრამ ეგვიტ სსსსსსსს-
დურს ხომ არ არის?... ცუდს არ იზამ-
დით «სარწმუნო პირებისთვის» გვეით-
სათ...

«დროების» კორესპონდენცია.

ლაშინძანა. წარსულ თვეში მო-
მიხდა მგზავრად გავლა ბორის მან-
რის სოფელ ლამისყანაშია. ამ სო-
ფელში ვახლავთ ორი ღუბანი: ერთი
მიკიტისა და ერთი ც ფარისა. მე,
როგორც კი სტუმარი კაცი, ჩამო-
ხდი ღუბანში. ჩემს იქ ყოფნაში მო-
ვიდენ ამ სოფელში ბორის-მ აქცი-
ონის შედამხედველი თამამშოვი და მი-
სივე თანაშემწე მას. აბრამოვი. ეს
ბატონები მოვიდენ პირ-და-პირ ბა-
ზაზის ღუბანში. ამ ღუბანის პატრო-
ნი თავისი დახლიდრებით არიან მცხო-
რებნი ღუბანის მახრისა და ღამე და
ღამე აქეთ დგომა სავაჭრო ღუბანში-
ვე, რადგანაც ცალკე სახლი არა
აქვთ. სმა და ჭამა აქეთ ამავე ღუ-
ბანშივე. თიანთ სახმარად ჰქონათ
იმ დროს ერთი ბოთლი არაყი და
ორი ბოთლის ტოლა ღვინო. ბატ.
თამამშოვი შევიდა ღუბანში გასა-
შინჯავად; ბედმაც მისმა იმუშავა და
იპოვეს ეს მოხსენებული სასმელი.
აბრამოვამც მსწრაფლად მოაელო
კალამს ხელი აქტის შესადგენად. ეს
ის აბრამოვი ვახლავთ, თუ მოგხსე-
ნებათ, რომელმაც ჩვენი სული წმიდა

*) ეს წერილი ასო გამოუკლებლად იბეჭ-
დება.
რედ.

უარყო, როგორც სასულიერო პირ-
ნი იტყვიან, ე. ი. ანაფორა უცაბო
და ცხლა ქვაბების მეთვალყურე ბრძან-
დება. ბაზაზი ეუბნებოდა, რომ ჩვენ
არა ვვაქვს ცალკე სახლი, რომ ჩვე-
ნი სასმელ-საჭმელი შევიწახოთ და
ამისათვის ჩვენი საჭიროებისთვის ვი-
ნახეთო, ეკითხოს მთელ სოფელს,
თუ ჩვენ ერთი სტაქანა არაყი გაგვი-
ყიდოსო. აქციონის მოხელეებმა იმათ
ყური არ უგდეს და აქტი მინც შეად-
გინეს. ასე გამოდის, რომ იმ უბე-
დურებს რაღაც დანაშაულობისთვის
აღუკრძალეს სასმლის ხმარება! მარ-
თული მდინარისა არ იყოს «ქაშით
შეშინებული დოს უბერადლო», ისე
ამ მდელქვებს მოუვიდათ: ცხლა ჩის
სმასაც კი ვერა ჰბედავენ, რომ თა-
მამშოვი და აბრამოვი არ მოვიდენ
და აქტი არ შეგვიდგინოსო!

მგზავრი.

განცხადება

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance


შეადარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 მ. 10 გ.	1 მ. 40 გ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50

საუკეთესო 2 — „ — — 3 — „

იქვე ისეილება სხვა საქონელიც: თა-
ფები, რეკლავები, კრაოტები, ჭურ-
ჭელი, ჩაიდნები, გასადუბები, დანები,
გოგზები, ტაშტები, კაღები, ქაღალდი,
შოკოლადი, გაგაო, განფუტები, მურაბე-
ბი, მაგნეზია, უნაგირები, კლეინგა,
წინდები—გაცის და ქაღის, სელ-სახო-
ცები, მაკინტოშინ კალენგორი—სულ
ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფ-
რო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მა-
ღაზიაში.

ვინც ქაღაქს გარკადმ 25 მანეთიდან
1.000 მანეთამდინ საქონელს გამო-
წერს, გასაგზავნს არაფერს არ ის-
დის. (100—6)

ინგლისური ჩინის კრავრტები



ერთ საწოლთან 8 მ. და ორ საწო-
ლთან 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის
ბაღასით 5-დგან—9 მან. ინგლისურს
მაღაზიაში. იქვე ისეილება 25% იაფათ
სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-
ჩანგალი, გოგზები, ფანდნები, კლიტე-
ბი, საფანგები, რკინის კაღები, ქა-
ღალდი, ნიშები, რეკლავები, თაფე-
ბი, გაცისა და ქაღის უნაგირები, ალბა-
მები, კლეინგები, ჩაი 1-ლის ხარისხი-
სა. (100—87)

ს ს ა მ შ ა
მ მ თ ი მ მ ი მ. ხ ე ლ ა ძ ი ს ა.

თბილისში, ლორის-მელეჩოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.


იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდა-
ვად: გაზეთებს, ეურნალებს, წიგნებს, ბროშურებს,
აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სწოტებს, განცხადე-
ბებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავზე და ადნიმნულ დროზე საქმის შე-
სრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრელობს კორრექტურის გასწორებას
და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი
ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

თიფლის, ტიპოგრაფია ეფიმია ივ. ხელაძე.

ს ა გ ლ ო ბ უ ს ო  კ ა ლ მ ე ბ ი

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი
სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებული სხვა-და-სხვა გერისა კაღები,
ყოველის „სტელისათვის“—25% იაფად, ვინც სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი,
განკურტები, რეკლავები, ლაქი, გასანდაში, ზენალი, კაღები, ბუმაყნიკები, შორს-
სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი,
ცანაშები ჭურჭლების საწმედად (ბორავსი), თეთრეულისათვის, შატარა სალესი,
აიტაკისათვის კლიინგები. ტანტები, სავარძლები, სარკები, სავარცხლები, ბეშე-
ნნი, წარები, ბინოკლები რეკლავები, გატერპასები, შხის-სათები, კომპასები,
ტერმომეტრები, მეწვეები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, შომოჩი, ქამრები,
სარტლები. საყელური, შრამბები, სანრობები, კრანები, ფილტები, შხოტები
თავის. ტანისამოსის, ცხენის და შატარტიანი მაკინტოშები, კრავები, საქამო-
ქაღალდი გატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პ ა ტ ა შ ი — 2 0 კ. (100—45)

25% უფრო იაფად მინამ სხვაგან
ციტრატები, მაგნეზია, ყაფის საუქვაფი,
საურველები, უთოები, კრაოტები, ტა-
ნისამოსის ჩამოსაკიდებელი, კლიინ-
კა, დანები, შხოტები, ჩანკლები, კალ-
მები, ჩაი პირველი რეკლავისა და სხვ.
ინგლისის მაღაზიაში. (10—4)

მ ა ზ ა ნ დ ა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბი-
ლისის ბაზრებში, ღუბანში და ხელ-
და-ხელ პირველიდამ 16 კათათემდე
1883 წ.

გამომცხვარი შური რე-
სეთის ფქვილისა — — 1 გარ. 5 1/2
აქაურის ფქვილისა: შირ-
ველის ხარისხისა — — 1 გ. 3 1/2
მეორისა — — — 1 გ. 3 გ.
ამავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:
პირველის ხარისხისა — 1 გ. 5 გ.
მეორისა — — — 1 გ. 4 გ.
მესამისა — — — 1 გ. 3 1/2

ჯვარის-მამის შური:
პირველის ხარის. ლავში 1 გ. 5 1/2
მეორის ხარის. ლავში 1 გ. 4 გ.
მესამისა — — — 1 გ. 3 1/2

ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხისა — 1 გ. 8 გ.
მეორის — — — 1 გ. 7 გ.
სუფი . . . — 1 გ. 15 გ.
ცხვრის ხორცი — 1 გ. 8 გ.

რკინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდან ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ
1 სა.თზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.

რიონიდან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.

ფოთიდან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდან ბათუმიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.